სსიპ - სამცხე-ჯავახეთის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

01/10/2024

MES 3 24 0001242968

ბრძანება

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების
დამადასტურებელი დოკუმენტების მკაცრი აღრიცხვის ფორმების გამოყენების,
აღრიცხვა-ანგარიშგების და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებისა და 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე–ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის N52/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-14 მუხლის მე-6 პუნქტისა და„ მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის წესისა და მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2020 წლის 31 აგვისტოს N1-1/345 ბრძანების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების მკაცრი აღრიცხვის ფორმების გამოყენების, აღრიცხვა-ანგარიშგების და გაცემის წესი ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. ბრძანება გაეგზავნოს სასწავლო პროცესის მართვის განყოფილებას, ყველა ფაკულტეტს და განთავსდეს ვებ-გვერდზე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან 1 თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე: ქ.ახალციხე კ.მებაღიშვილის ქ.N62.

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის

რექტორი ბერიძე მაკა

ბიბლიოგრაფიული
მზაბეჭდსმეღია
ელექტრონული